



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კრწანისისხევი

კრწანისისხევი, ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ი ს ხ ე ვ ი , დ უ ქ ნ ი ს ხ ე ვ ი , პერიოდული მდინარე თბილისის სამხრ. ნაწილში. სათავეს იღებს თელეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 1025 მ სიმაღლეზე. ორთაჭალის მიზანობებში ერთვის მტკვარს მარჯვნიდან. სიგრძე - 8,5 კმ. ჩაჭრილია შუაეოცენურ ვულკანოგენურ ქანებში და კრწანისის ვაკემდე კანიონისებრი ხეობა აქვს. წყლიანია ძლიერი წვიმების დროს (გაზაფხულზე და ივლ. დასაწყისში). კ. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

---